ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ტესტი ისტორიაში

ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისათვის №1-22. თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. სად მდებარეობდა ურარტუს დედაქალაქი ტუშპა?

ა) ვანის ტბის სანაპიროზე;

ბ) მდინარე ტიგროსის ნაპირზე;

გ) ზაგროსის მთებში;

დ) ირანის ზეგანზე.

(1) 2. რომელი ბერძენი მემატიანე მოგვითხრობს პელოპონესის ომის შესახებ?

ა) თუკიდიდე;

ბ) ჰეკატეოს მილეტელი;

გ) აპიანე;

დ) იოსებ ფლავიუსი.

(1) 3. რის აღსანიშნავად აღიმართა რომში ტრიუმფალური სვეტი იმპერატორ ტრაიანეს მმართველობისას?

ა) სამოქალაქო ომის დასრულების;

ბ) დაკების დამარცხების;

გ) ეგვიპტის შემოერთების;

დ) აქციუმთან გამარჯვების.

(1) 4. რა უკავშირდება VI-VII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ქართლის ერისმთავარს - სტეფანოზ I-ს?

ა) უფლისციხის გათავისუფლება;

ბ) მცხეთის ჯვრის ტაძრის აგება;

გ) არაბთა ლაშქრის დამარცხება სამგორში;

დ) კათალიკოსობის დაწესება ქართლში.

(1) **5. რომელი მსჯელობაა მართებული XI საუკუნეში სელჩუკთა ლაშქრობების შესახებ?**

ა) ირანის სახელმწიფოს განადგურების შემდეგ დაიკავეს მესოპოტამია, მცირე აზია. დაამარცხეს ანგორის ბრძოლაში ბიზანტიელები და ალყა შემოარტყეს ნიკეას;

ბ) ირანის ტერიტორიის დაკავების შემდეგ განაგრძეს ლაშქრობა. შეუტიეს ბიზანტიის იმპერიას, დაამარცხეს მანაზკერტის ბრძოლაში და დაეუფლნენ იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებს;

გ) არაბეთის ნახევარკუნძულის დაპყრობისას აიღეს და გაძარცვეს დამასკო. შემდეგ ლაშქრობა ეგვიპტისკენ გააგრძელეს და ასუანთან ბრძოლაში დაამარცხეს ხალიფა;

დ) არაბეთისა და მესოპოტამიის დაპყრობის შემდეგ შეუტიეს ხარიჯიტების სახელმწიფოს. გაიმარჯვეს ჰატინის ბრძოლაში და დაეუფლნენ სინას ნახევარკუნძულს.

(1) 6. რომელი ინფორმაციაა მართებული იოანე პეტრიწის შესახებ?

ა) მოღვაწეობდა გელათის აკადემიაში;

ბ) დაადგინა დავითგარეჯის ტიპიკონი;

გ) დააარსა ზარზმის მონასტერი;

დ) ხელმძღვანელობდა ელჩობას რომის პაპთან.

(1) 7. საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული რომელი მოვლენის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას XII საუკუნის ავტორი - ვალტერ გოტიე?

ა) ორბელთა შეთქმულების;

ბ) დიდგორის ბრძოლის;

გ) თოღრულ ბეგის შემოსევის;

დ) ყუთლუ არსლანის გამოსვლის.

(1) **8. რომელი მსჯელობაა მართებული თომა აკვინელის მოღვაწეობის შესახებ?**

ა) გამოიყენა არისტოტელეს იდეები ქრისტიანული მოძღვრების ჭეშმარიტების დასასაბუთებლად;

ბ) შეისწავლა დიოფიზიტურ და მონოფიზიტურ მოძღვრებათა დოგმები და აღმოფხვრა მათ შორის კანონიკური წინააღმდეგობები;

გ) გამოიკვლია რომის პაპის კანცელარიაში დაცული ისტორიული დოკუმენტები და დაადგინა ზოგიერთი მათგანის სიყალბე;

დ) ჩაუყარა საფუძველი სამონასტრო ცხოვრებას კათოლიკურ სამყაროში წმინდანთა ცხოვრების მაგალითების მიხედვით.

(1) 9. ქართული ხუროთმოძღვრების რომელი ძეგლია აგებული XII-XIII საუკუნეებში?

ა) ბოლნისის სიონი;

ბ) ანანურის ციხე;

გ) ყინწვისის მონასტერი;

დ) ბაგრატის ტაძარი.

(1) **10. რომელი ფაქტია მართებული მონღოლთა დაპყრობების შესახებ?**

ა) ბათო-ყაენმა მამლუქები დაამარცხა და იერუსალიმი დაიკავა;

ბ) ჰულაგუ-ყაენმა ბაღდადი დაიპყრო და ხალიფა სიკვდილით დასაჯა;

გ) ჩინგიზ-ყაენმა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა დალაშქრა და ოქროს ურდო დააარსა;

დ) ბერქა-ყაენმა ჩინეთი დაიმორჩილა და მონღოლთა იმპერიას ჩაუყარა საფუძველი.

(1) **11. რომელი მსჯელობა *<u>არ არის</u>* მართებული „ასწლიანი ომის“ თაობაზე?**

ა) კრესის ბრძოლაში ინგლისელებმა ფრანგთა ლაშქარზე გაიმარჯვეს, რომელსაც მეფე ფილიპე VI მეთაურობდა;

ბ) ინგლისის მეფემ, ედუარდ III-მ, ხანგრძლივი ალყის შემდეგ საფრანგეთის მნიშვნელოვანი საპორტო ქალაქი კალე აიღო;

გ) საფრანგეთის მეფე ჟან II კეთილი პუატიეს ბრძოლაში დამარცხდა და ტყვედ ჩაუვარდა ინგლისელებს;

დ) აზენკურის ბრძოლაში მიღწეული წარმატების შემდეგ შარლ VII-მ საბოლოოდ განდევნა ინგლისელები საფრანგეთიდან.

(1) **12. რომელი ინფორმაციაა მართებული ჯეჰან-შაჰის შემოსევის თაობაზე?**

ა) მოულოდნელად დაესხა თავს საქართველოს, აიღო და გაძარცვა სამშვილდე და თბილისი;

ბ) ნახიდურის ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ დაიკავა დმანისისა და ლორეს ციხეები;

გ) ისარგებლა საქართველოს მეფის ქვეყანაში არყოფნით, აიღო ქუთაისი და დაარბია ბაგრატის ტაძარი;

დ) შირვანიდან კახეთში შეიჭრა, დაიკავა გრემი და ძეგამი, საიდანაც ვაჭრები და ხელოსნები ირანში გადაასახლა.

(1) **13. რა უკავშირდება სამცხის ათაბაგ მანუჩარ II-ს?**

ა) ბრძოლა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ;

ბ) საქართველოს მეფის, გიორგი VIII-ის, დატყვევება;

გ) ილხანთა საყაენოს მფარველობაში შესვლა;

დ) იმპერატორ კონსტანტინე XI-ის სამხედრო დახმარება.

(1) **14. რომელი მსჯელობაა მართებული ვენეციის რესპუბლიკის შესახებ?**

ა) ვენეციამ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ შეძლო იტალიის ყველა პოლიტიკური ერთეულის გაერთიანება, პაპის ოლქის გარდა;

ბ) ვენეციელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებში და ჩრდილოეთ ამერიკაში ვენეციის კოლონიები დააარსეს;

გ) ვენეცია მრავალსაუკუნოვან დაპირისპირებაში იყო ჩართული ოსმალეთის იმპერიასთან, რომელთანაც ბრძოლაში კუნძული კრეტა საბოლოოდ დაკარგა;

დ) ვენეციელებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს გრანადის საამიროს განადგურებაში და მის ადგილზე ლათინთა იმპერია დააარსეს.

(1) **15. რომელი ინფორმაციაა მართებული თეიმურაზ II-ის შესახებ?**

ა) ახალციხის ფაშის დახმარებით საკუთარი ვაჟი იმერეთის ტახტზე აიყვანა;

ბ) შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა ნადირ-შაჰის წინააღმდეგ;

გ) სხვადასხვა პერიოდში იკავებდა როგორც კახეთის, ისე ქართლის ტახტს;

დ) პირადად მონაწილეობდა ირანელთა ლაშქრობებში ავღანეთსა და ინდოეთში.

(1) 16. რა უკავშირდება რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-ს?

ა) ბულგარეთის გათავისუფლება;

ბ) რეჩპოსპოლიტას დანაწილება;

გ) ფინეთის დაპყრობა;

დ) ავსტრიის დამარცხება.

(1) 17. სხვა მიზეზებთან ერთად რამ შეუწყო ხელი გენერალ ბონაპარტეს აღზევებას XVIII საუკუნის 90-იან წლებში?

ა) როიალისტური აჯანყების ჩახშობამ ვანდეაში;

ბ) იენის ბრძოლაში მოპოვებულმა გამარჯვებამ;

გ) ელზასისა და ლორენის პროვინციების დაბრუნებამ;

დ) წარმატებულმა ლაშქრობამ ჩრდილოეთ იტალიაში.

(1) **18. რა პირობით გადაეცემოდათ გლეხებს მიწა XIX საუკუნის 60-იანი წლების საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ?**

ა) უსასყიდლოდ, სამაგიეროდ კი მებატონის მიწაზეც უნდა ემუშავა;

ბ) ჩუქების, ასევე თავისუფლდებოდა ყოველგვარი ვალდებულებისაგან;

გ) გამოსყიდვის, მანამდე კი დროებით ვალდებულად ითვლებოდა;

დ) საზიაროდ, მემამულესთან ერთად ხდებოდა მიწის მესაკუთრე.

(1) **19. რომელი მსჯელობაა მართებული 1919 წელს ბათუმში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით?**

ა) ქალაქში ბრიტანეთის ჯარის შენაერთები იდგა. მას ბრიტანელი გენერალი კუკ-კოლისი მართავდა, რომელსაც გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა ეკავა;

ბ) ქალაქში თავდაპირველად ოსმალეთის ჯარი იდგა, მაგრამ გენერალმა მაზნიაშვილმა ისინი განდევნა და მმართველობა ადგილობრივ თვითმმართველობას გადაეცა;

გ) პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ გერმანიის ჯარმა ქალაქი დატოვა და მმართველობა საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ დანიშნულ გენერალ-გუბერნატორს, ბენია ჩხიკვიშვილს გადაეცა;

დ) მუდროსის ზავის პირობებით ბათუმი თავისუფალ ქალაქად გამოცხადდა და მმართველად ერთა ლიგის მანდატის მქონე საფრანგეთის უმაღლესი კომისარი აბელ შევალიე დაინიშნა.

(1) 20. გერმანიის ხელისუფლების რომელი გადაწყვეტილება არღვევდა ვერსალის ზავის პირობებს?

ა) დანციგის გამოცხადება თავისუფალ ქალაქად;

ბ) ჯარის შეყვანა რაინის დემილიტარიზებულ ზონაში;

გ) რაიხსპრეზიდენტის პოსტის შემოღება;

დ) რაიხსვერის გადაკეთება ბუნდესვერად.

(1) 21. რომელი რეგიონის დაკავებას ითვალისწინებდა 1942 წელს გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული გეგმა „ედელვაისი“?

ა) ყირიმის ნახევარკუნძულის;

ბ) კავკასიის;

გ) ცენტრალური რუსეთის;

დ) ბალტიისპირეთის.

(1) 22. რას ისახავდა მიზნად მიხეილ გორბაჩოვის მიერ დაწყებული ე. წ. „პერესტროიკა“?

ა) მმართველობის სისტემის რადიკალურ შეცვლას, მოკავშირე რესპუბლიკების უფლებების გაფართოებას და ამით არსებული პოლიტიკური კრიზისის დაძლევას;

ბ) კომუნისტური პარტიის გარდაქმნას სოციალ-დემოკრატიული ტიპის ორგანიზაციად და საბჭოების როლის გაზრდას, რასაც სსრკ-ს შენარჩუნება უნდა უზრუნველეყო;

გ) კონსტიტუციით ავტონომიური რესპუბლიკების უფლებრივად მოკავშირე რესპუბლიკებთან გათანაბრებას და ამ გზით საბჭოთა სახელმწიფოს შენარჩუნების მომხრეთა გაძლიერებას;

დ) სსრკ-ის არსებობის გახანგრძლივებას პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გზით, რომლებიც სახელმწიფოს არსებობის ძირითად პრინციპებს არ ეხებოდა.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 23-26.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა. შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) **23. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ასურეთის სახელმწიფოსთან დაკავშირებული მოვლენები.**

1. ასურბანიფალის მიერ ბიბლიოთეკის შექმნა ნინევიაში
2. ტიგლათფილასარ I-ის ლაშქრობა ნაირის ქვეყნებში
3. დურ-შარუქინის მშენებლობა სარგონ II-ის მიერ

(1) **24. ქრონოლოგიურად დაალაგეთ საღვთო რომის იმპერიის მმართველი დინასტიები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით.**

1. ჰაბსბურგები
2. ჰოჰენშტაუფენები
3. საქსონები

(1) 25. ქრონოლოგიურად დაალაგეთ შუა საუკუნეების არქიტექტურული ძეგლები მათი მშენებლობის დროის მიხედვით.

1. პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
2. აახენის საიმპერიო ტაძარი
3. აია სოფიას ტაძარი კონსტანტინოპოლში

(1) 26. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XVIII საუკუნეში საქართველოში განვითარებული მოვლენები.

1. აჯანყება გივი ამილახვრის მეთაურობით
2. პაატა ბატონიშვილისა და მისი მომხრეების შეთქმულება
3. კონსტანტინე კახთა მეფის მიერ თბილისის აღება

ინსტრუქცია დავალებისათვის № 27.

მოსწავლეს აქვს რუკა. მას საკუთარი ცოდნისა და რუკაზე არსებული ინფორმაციის გამოყენებით უნდა ეპასუხა დასმული კითხვებისათვის.

მოსწავლის მიერ გაცემულ პასუხთაგან ოთხი (4) არასწორია.

თქვენ უნდა იპოვოთ ოთხივე შეცდომა, გადმოწეროთ პასუხების ფურცლის სათანადო ადგილზე და იქვე მიუწეროთ სწორი პასუხები. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება 27. რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

მოსწავლისათვის დასმული კითხვები:	მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები:
27.1. რა ეწოდება ისტორიულ მოვლენას, რომელიც ასახულია წარმოდგენილ რუკაზე?	27.1. მესამე ჯვაროსნული ლაშქრობა
27.2. რუკის მიხედვით, რომელ ქალაქთან გაერთიანდა საბოლოოდ აღნიშნული ლაშქრობის მონაწილე ორი ლაშქარი?	27.2. გენუასთან
27.3. რუკის მიხედვით, რა ეწოდება სახელმწიფოს, რომლის წინააღმდეგაც იყო მიმართული აღნიშნული ლაშქრობა?	27.3. სალადინის სახელმწიფო
27.4. რუკის მიხედვით ახსენით, თარიღების გარდა, რა ინფორმაცია მიუთითებს, რომ პირენეის ნახევარკუნძულზე ჯერ კიდევ არ არის დასრულებული რეკონკისტა?	27.4. ჯერ კიდევ არ არის გაერთიანებული ნავარისა და კასტილიის სამეფოები
27.5. რუკის მიხედვით, სრულად ჩამოთვალეთ რომელი სახელმწიფოებიდან დაიწყო აღნიშნული ლაშქრობები.	27.5. საღვთო რომის იმპერია, საფრანგეთი, პორტუგალია
27.6. რუკის მიხედვით, რომელ სახელმწიფოში დასრულდა ბიზანტიის იმპერიაზე გამავალი ლაშქრობა დროზე ადრე და რუკაზე აღნიშნულმა რა ფაქტმა გამოიწვია ეს?	27.6. კილიკიაში. ბრძოლაში დამარცხებამ

ინსტრუქცია დავალებისათვის № 28.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. გაითვალისწინეთ, რომ სამივე ილუსტრაციაზე ასახულია ერთი ისტორიული პროცესის სამი ეპიზოდი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 7.

დავალება 28. ილუსტრაციები და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

N1

N2

N3

სამივე ილუსტრაცია ეხება ერთ ისტორიულ პირს

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(2) **28.1.** რომელი გამონათქვამი უკავშირდება N1 ილუსტრაციაზე გამოსახულ კონკრეტულ ისტორიულ ფაქტს და რა იყო მისი გამომწვევი მიზეზი?

(2) **28.2.** დაასახელეთ სახელმწიფო, სადაც მოხდა N2 ილუსტრაციაზე ასახული მკვლელობა. ილუსტრაციაზე მოცემული რა კონკრეტული ინფორმაცია ადასტურებს თქვენს პასუხს?

(2) **28.3.** რამ გაპირობა N3 ილუსტრაციაზე გამოსახული ისტორიული მოვლენა და რა კონკრეტული ცვლილება მოხდა სახელმწიფოში ამ ისტორიული მოვლენის შემდეგ?

(1) **28.4.** დაასახელეთ ერთი კონკრეტული საგაკვეთილო თემის სათაური, რომელზეც გამოიყენებთ სამივე ილუსტრაციას.

ინსტრუქცია დავალებისათვის №29. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 18.

დავალება 29. ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის წერილი

ამ წერილში, ვინაიდან სანდო კაცის ხელით ვაგზავნი, გახსნილად შევეხები ზოგიერთ საკითხს. თქვენ ამ წერილს ან მოსპობთ, ან ისე შეინახავთ, როგორც თქვენ იცით. როგორც პოლკოვნიკმა გადმომცა, თქვენ მასთან ერთად გადაგიწყვეტიათ შემდეგი:

1) გაიგზავნოს საქართველოში ჯერჯერობით ერთი პიროვნება ყოველმხრივ სანდო და ავტორიტეტული. ეს პირი უნდა იყოს არამც თუ გაცნობილი ყველა იმ გეგმებს, რომლებიც ჩვენ შევიმუშავეთ, არამედ სამხედრო სპეციალობაში უნდა მომზადდეს ისე, რომ იქ შეძლოს ხელმძღვანელობა. ამ მხრივ ის ყოველნაირ დამატებით ინსტრუქციებს მიიღებს აქ ჩემგან. თუმცა, რაც შეეხება პოლიტიკურ-დიპლომატიურ მხარეს, ეს იქნება მთავრობის და უშუალოდ თქვენს ხელში, ხოლო იქ - ადგილობრივი პოლიტიკური ორგანიზაციების. ის იმდენად სანდო და მომზადებული უნდა იყოს, რომ დამოუკიდებლადაც იმოქმედოს, რადგან დროგამოშვებით შეიძლება ჩვენგან მოწყვეტილი დარჩეს. აქედან გამომდინარე, თქვენთვის აშკარა ხდება, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამისთანა პიროვნების გამორჩევას.

2) მოეწყოს მასთან და მისი საშუალებით სხვა იქ მყოფ ორგანიზაციებთან მუდმივი სანდო კავშირი. ჩვენ ამ საკითხზე აქ ვმუშაობთ და იმ კაცს ველით. მას აქ დასჭირდება ხანგრძლივი დარჩენა. მას აქ მოვუვლით, ამის ჯავრი ნუ გაქვთ. პოლიტიკურად მას თქვენ მოამზადებთ, სამხედრო-ტექნიკურად მასალით კი - აქ ჩვენ. მას აქ ველოდებოდით, სანამ თოვლი მოვიდოდა. ახლა უკვე ცოტა გვიან არის, მაგრამ მის გამოგზავნას

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

კიდევ უფრო ნუ დააგვიანებთ. რაც მეტ ხანს დარჩება აქ, მით უკეთესი იქნება.

მე არ მინდა შევჩერდე იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ექნება ამას, მთავრობისა და თქვენი ავტორიტეტისათვის იქ საქართველოში.

ამას უნდა დავუმატოთ, რომ რუსეთში ანარქიის მომენტი ახლოვდება, ასეთი ცნობებია აქ.

თანხასაც დიდს თხოულობთ და ამან შეიძლება შექმნას დაბრკოლება. მით უმეტეს, რომ შესაძლებელია შეტცელი ამ დღეებში წავიდეს, ეს ახლა გაირკვევა. ის არ იფიქროთ, რომ ეს ფაქტი ჩვენს საკითხს შეაფერხებს. მანდაურ მუშაობასაც დიდ ყურადღებას აქცევენ. ეს უნდა იქნას ერთნაირი წინასწარი მომზადება, ერთი მხრივ, სანდო ხალხის და, მეორე მხრივ, საბოლოო მომზადება უფრო ფართო წრისა, ვისი გამოყენებაც შეიძლება მომავალ ჩვენს ბრძოლაში.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

კაციც არი და კაციც, ყველანი, სანდონი, რასაკვირველია, უნდა გავიცნოთ და თავის შესაფერის ადგილზე გამოვიყენოთ. ეს თქვენ ჩემზე უკეთესად იცით. მხოლოდ ერთს გთხოვთ, უხელმძღვანელეთ ჩამოსულებს.

ოფიცერი მათიკაშვილი ხანგრძლივად დარჩება მანდ. ის სანდო და ნიჭიერი ბიჭია, გაიცნობთ და კმაყოფილი დარჩებით. საქართველოში მუშაობა ფართოდ და დაწვრილებით მან არ უნდა იცოდეს, ჯერჯერობით მაინც. სპარსეთში თუ ვინმე გვყავს, მაცნობეთ. ამ საკითხზე ჩვენ აქ ვმუშაობთ. თუ რაიმე ისეთ საკითხი გექნებათ, რაც მხოლოდ და მხოლოდ მე უნდა ვიცოდე, ეს მომწერეთ ან ჩემი მისამართით შიფრით, ან და პოლონელების საშუალებით. კიდევ, გამაფრთხილეთ, ვის შემიძლია ვუთხრა და ვის არა. ვგულისხმობ პოლონელებს და ჩვენს წარმომადგენელს აქ.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

მხოლოდ პოლკოვნიკი თევზაძე რომ დაბრუნდება, შეიძლება ის დავიხმარო ამ საკითხებში. აქ ვარშავაში რამდენიმე დღით იყო ბლეშჩინსკი. მე მას შევხვდი. მას აინტერესებს სამი საკითხი:

1) ვისთან ჰქონდეს მუდმივი კავშირი ამ საკითხზე მანდ თქვენთან, პარიზში. გამოთქვა სურვილი, რომ ერთი ვინმე იყოსო. მე ამ კითხვამ გამაკვირვა გულში. მას ვუპასუხე, რომ მხოლოდ თქვენთან და იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მანდ არ იქნებით, მაშინ ბატონ ევგენი გეგეჭკორთან. ასე მწერდით თქვენ და მეც ასე ვუთხარი.

2) არ იფიქრონ ფრანგებმაო, რომ ეს ვითომ და რაიმე ბოლშევიკურიაო. ამაზე მე ვუპასუხე, რომ თქვენ გაქვთ საკმარისი კავშირი საფრანგეთის მთავრობასთან, რომ ასეთი ეჭვები გააქარწყლოთ, მხოლოდ მასაც ვთხოვე ამ მხრივ დახმარება.

3) ბოლშევიკებმა არ გაიგონო. ამაზე მე ვუპასუხე, რომ თქვენ ამ მხრივ მიიღებთ ზომებს, რათა ჩვენს წრეში არ მოხვდეს ვინმე პროვოკატორი.

მანდ მოდის აქაური დიდი კაცების მესაიდუმლე და პრემიერ-მინისტრის ადიუტანტი ზავილისოვსკი. მან ყველაფერი იცის. პოლკოვნიკი თევზაძე მას გაგაცნობთ. მასთან მჭიდრო კავშირი დაიჭირეთ. გავლენიანი და ნდობით აღჭურვილი პიროვნებაა. გენერალ ალექსანდრე ჩხეიძისგან ჯერ ოფიციალური პასუხი არ მაქვს. კერძოდ კი, ვიცი, რომ მგონი, უარს ამბობს. თავის დროზე გაცნობებთ. დოკუმენტები კარგ ადგილას მაქვს შენახული.

ღრმა პატივისცემით გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

დოკუმენტი საქართველოს საისტორიო არქივიდან, ფ. 2130, 1, 74, გვ. 4

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

კითხვები:

(1) **29.1.** რომელ სახელმწიფოში იმყოფება წერილის ავტორი და წერილში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს თქვენს პასუხს?

(1) **29.2.** დოკუმენტის მიხედვით, რატომ უნდა ყოფილიყო საქართველოში გაგზავნილი კაცი მზად დამოუკიდებელი მოქმედებებისათვის?

(1) **29.3.** თქვენი აზრით, რატომ დასჭირდებოდა შერჩეულ პირს გენერალ ზაქარიაძესთან „ხანგრძლივად დარჩენა“?

(1) **29.4.** დოკუმენტის მიხედვით, რომელ სახელმწიფოსთან დაკავშირებული და რა ცნობებია გავრცელებული იქ, სადაც წერილის ავტორი იმყოფება?

(1) **29.5.** დოკუმენტის ავტორი წერს, რომ უნდა მომზადდეს ფართო წრე ადამიანებისა, „ვისიც კი გამოყენება შეიძლება მომავალ ჩვენს ბრძოლაში“. თქვენი აზრით, რისთვის უნდა ებრძოლათ მომავალში?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(1) **29.6.** წერილის ავტორი წერს, „სპარსეთში თუ ვინმე გვყავს მაცნობეთ“. რამდენად შეიძლებოდა თავად სპარსეთის გამოყენება იმ საქმეში, რაზეც ალექსანდრე ზაქარიაძე წერს? მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) **29.7.** დოკუმენტის მიხედვით, რას ითხოვენ წერილის ადრესატი და მისი თანაგუნდელები დიდი ოდენობით და, თქვენი აზრით, რატომ შექმნის ეს დაბრკოლებას? მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) **29.8.** დოკუმენტის მიხედვით, ვინ დარჩება ხანგრძლივად წერილის ადრესატთან და რა არ უნდა იცოდეს მან „ჯერ-ჯერობით“ მაინც და თქვენი აზრით, რატომ?

(2) **29.9.** დოკუმენტის მიხედვით, რა თანამდებობა უკავია ზავილისოვსკის და თქვენი აზრით, რატომ იყო საჭირო მასთან მჭიდრო კავშირის დაჭერა?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) 29.10. დოკუმენტის მიხედვით, რა საშუალებებით უნდა მიეწერა წერილის ადრესატს საპასუხო წერილი გენერალ ზაქარიაძისადმი, საჭიროების შემთხვევაში?

(2) 29.11. დოკუმენტის მიხედვით, სრულად ჩამოთვალეთ, თუ ვის უნდა გაექარწყლებინა ფრანგებისთვის ეჭვი, რომ ადგილი არ ჰქონდა „რაიმე ბოლშევიკურს“.

(2) 29.12. ალექსანდრე ზაქარიაძის აზრით, ვინ ამბობდა, „მგონი უარს“ და, თქვენი აზრით, რაში მონაწილეობაზე?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე